საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 19 მაისი, 2023 წელი

დრო: 16:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
7. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
9. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
10. მადონა ხარებავა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნშობელთა ასოციაცია „დეა“
11. ნინო წულეისკირი - ასოციაცია „ჰერა XXI“
12. სალომე სვანიძე - ქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის
13. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მულტიეთნიკური რესურსცენტრი
14. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
15. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
16. ალა გამახარია - ფონდი სოხუმი
17. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

18. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
19. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
20. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
21. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
22. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
23. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
24. ნატო ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
25. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
26. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
27. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
28. მერი გვაძაბია - მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
29. ანდრო ნიკოლაიშვილი - სამანი
30. ნესტან ლონდარიძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი
31. ინგა ლაგოშვილი - "აგრო-სერვის კონსალტინგი"
32. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება

განსახილველი საკითხები:

1. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები - მომხსენებელი, საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ნათია კუპრაშვილი.

ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ. მან შეხვედრაში მონაწილე პირებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდა მოკლე ინფორმაცია.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებზე დეტალურად ისაუბრა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა. შეხვედრის მიმდინარეობისას საუბარი იყო ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ფორუმის სამდივნოს მიერ უკვე განხორციელებულ, დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არსებულ დელეგატებს გაუხანგრძლივდეთ მანდატი ამ წლის

ბოლომდე, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ევროკავშირი მუშაობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალ პოლიტიკურ დოკუმენტზე, რაც იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორც ეროვნული პლატფორმების, ისე ფორუმის დონეზე. მეორე მიზეზია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განსხვავებული სტატუსი. 3 ქვეყანას (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) აქვთ მინიჭებული კანდიდატის სტატუსი და ევროპული პერსპექტივა, რაც მათთვის სხვა ტიპის დღის წესრიგის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება სტრუქტურული ცვლილებები. ასევე მნიშვნელოვანია ის მოლოდინები, რომელიც საქართველოს უკავშირდება და გულისხმობს, ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

ფორუმის დონეზე მიმდინარე ეს ცვლილებები ეროვნული პლატფორმის დღის წესრიგში აყენებს საკითხზე მსჯელობის აუცილებლობას ეროვნულ დონეზე არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. თითქმის ყველა პლატფორმა მსჯელობს ამ საკითხე და მიიჩნევენ, რომ გაახანგრძლივონ არსებული საბჭოს მანდატი და დაელოდონ ფორუმის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაატარონ საერთო კრება და არჩევნები, ეროვნულ დონეზე.

შეხვედრაზე, ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს პოზიცია, თუ როგორი სტრუქტურით შეიძლება გააგრძელოს ეროვნულმა პლატფორმამ ფუნქციონირება. ცალსახად აღინიშნა, რომ იმ ცვლილებების ფონზე რომელიც დაგეგმილია ფორუმში, ეფექტური იქნება თუ ეროვნული პლატფორმა დაელოდება კონკრეტულ დამტკიცებულ ცვლილებებს ფორუმის მხრიდან, და ამის შემდეგ იმუშავებს ფორუმის სტრუქტურასთან თანხვედრაში. შესაბამისად, საკოორდინაცო საბჭოს არჩევნები ჩატარდება მას შემდეგ, რაც სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება ფორუმის დონეზე, რომელიც შესაბამისად აისახება ეროვნული პლატფორმების სტრუქტურაზეც.

შეხვედრაზე ისაუბრეს იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც შექმნილია მთელს მსოფლიოში. გლობალური ძვრების ფონზე არის მნიშვნელოვანი რეფორმების აუცილებლობა. საქართველოში მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ეროვნული პლატფორმის როლი, რომელიც 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე იყო ორიენტირებული. მნიშვნელოვანი იყო და არის ყველა ის კომუნიკაცია და სამუშაო პროცესი, რომელშიც ეროვნული პლატფორმა იყო ჩართული.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა ჩაატარებს მეტ შეხვედრებს, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებისთვის პლატფორმის საქმიანობის შესახებ ანგარიშისა და ინფორმაციის მიწოდებაზე. კოალიციის როლი და მნიშვნელობა არის ძალიან გაზრდილი და ამის შესახებ წევრების სრულყოფილი ინფორმირება არის ძალიან მნიშვნელოვანი. მით უფრო, რომ ახლა დაიწყო პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობის ახალი პროცესი, რომელიც უკავშირდება სასამართლო სისტემის რეფორმას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრების მიერ, პარლამენტის თავმჯდომარესთან წამოყენებული ინიციატივა, რომ სამუშაო ჯგუფში არასამთავრობო ორგანიზაციების კვოტა გაზრდილიყო, იქნა გათვალისწინებული და დღეს, სასამართლო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფში 5 ორგანიზაციაა ჩართული.

სასამართლო სისტემის რეფორმის საკითხზე მოკლედ ისაუბრა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა. მან აქცენტები გააკეთა იმ გამოწვევებსა და

ხედვებზე, რომელიც დღეს არსებობს და რაზეც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს განხილვები. უახლოეს მომავალში ჩატარდება პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება სასამართლო სისტემის რეფორმასთან და მედიასთან დაკავშირებული საკითხები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე